



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული
და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 2026 წლის 6 მარტი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2026 წლის 8 აპრილი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნიჰადა დელიბეგოვიჩ ჯანიჩი, ტუზლას უნივერსიტეტი, ბოსნია და ჰერცეგოვინა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაია ჩხოტუა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ბექა ბენდელიანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური / პროგრამა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 - ენის დაუფლება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	№ 794250, 28/06/2022;
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო - შემოქმედებითი ან / და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური / შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების / პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

²უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ - ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

▪ **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

"ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო პროგრამა არის უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს უნივერსიტეტში და ისწავლება ინგლისურ ენაზე. პროგრამის მთავარი მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ინგლისური ფილოლოგიის სფეროში მოწინავე თეორიული ცოდნა და კვლევით უნარები და შეძლებენ გამოიყენონ შესაბამისი ლინგვისტური, ლიტერატურული და ინტერდისციპლინური მიდგომები აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტებში.

პროგრამა ფოკუსირებულია ინგლისური ენის, მისი ისტორიული განვითარების, დინამიკის და ენას, კულტურას, საზოგადოებას და მენტალურ რეპრეზენტაციებს შორის ურთიერთმიმართების სიღრმისეულ შესწავლაზე. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ სტუდენტები იღებენ თანამედროვე ლინგვისტური თეორიების, ლიტერატურული ანალიზის და ინტერდისციპლინური ხედვების ყოვლისმომცველ ცოდნას, რაც მოიცავს ლინგვისტიკის, ლიტერატურის, კულტუროლოგიის და სოციოლოგიის მიმართულებებს. პროგრამაში ასევე ხაზგასმულია კომუნიკაციის (C1 დონე), ინტერკულტურული და პროფესიული კომუნიკაციის, პროექტების მართვის და დამოუკიდებელი კვლევის წარმართვის მაღალი დონის უნარის განვითარება აკადემიური ეტიკის და პასუხისმგებლობის დაცვით.

ინგლისურ ფილოლოგიაში მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS კრედიტი, მათ შორის 108 ECTS კრედიტი სავალდებულო კურსებში (რომელიც ასევე მოიცავს სამაგისტრო ნაშრომს - 30 ECTS კრედიტი) და 12 ECTS კრედიტი პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ არჩევით კურსებში.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 6 მარტს. 2 მარტს ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა წინამოსამზადებელი შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთან, მათ მიერ მოწოდებული Zoom - ის ბმულის საშუალებით. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში განხილულ და დაზუსტებულ იქნა შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. ვიზიტის განმავლობაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები უზრუნველყოფდნენ ექსპერტთა ჯგუფის მხარდაჭერას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ასევე უზრუნველყოფილი იყო ვიზიტის ეფექტური თარგმანი.

ექსპერტთა ჯგუფი და კონკრეტულად თავმჯდომარე, მაღლობას მოახსენებს აკრედიტაციის ვიზიტის მომზადებაში ჩართულ ყველა პირს, განსაკუთრებით ცენტრის წარმომადგენლებს, რომლებმაც შეფასების პროცესი შეუფერხებლად წარმართეს. დასკვნა მომზადდა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ და მიღწეულ იქნა შეთანხმება შენიშვნებთან და შეფასებებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მაღლობას უხდის მთელ გუნდს შეფასების პროცესში აქტიური და ეფექტური ჩართულობისთვის.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა ზოგადად აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს, კომპონენტების უმეტესობა შეფასებულია როგორც „შესაბამისობაშია“ ან „მეტწილად შესაბამისობაშია“ სტანდარტის მოთხოვნებთან. პირველი სტანდარტის ფარგლებში, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, აგრეთვე სტრუქტურა, შინაარსი და ცალკეული სასწავლო კურსები შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება მთლიანობაში შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი, სწავლების მეთოდები და პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარება შეფასებულია როგორც სრული შესაბამისი, ხოლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები და სტუდენტთა შეფასება - შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი. სტუდენტთა მიღწევები, ხელმძღვანელობა და მხარდაჭერი სერვისები სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა, მათ შორის ადამიანური რესურსი, ხელმძღვანელების კვალიფიკაცია, მატერიალური რესურსები და ფინანსური მდგრადობა, სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების კომპონენტი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი. ბოლოს, ხარისხის უზრუნველყოფის თითოეული ასპექტი, მათ შორის შიდა და გარე ხარისხის შეფასება და პროგრამის მონიტორინგი, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს რეგულარული მხარდაჭერა და ტრენინგი სწავლის შედეგების ფორმულირების, გაზომვის და ანალიზის უნარების გასაძლიერებლად. (კომპონენტი 1.3)
2. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმაში გადაიხედოს კრედიტების განაწილება, განსაკუთრებით არჩევითი კომპონენტის ფარგლებში, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაძლებლობით აირჩიონ სასწავლო კურსების ფართო სპექტრი თავიანთი კვლევის ინტერესის შესაბამისად. (კომპონენტი 1.4)
3. რეკომენდებულია, პროგრამაში გადაიხედოს კრედიტების განაწილება, როგორც ეს ხაზგასმულია 1.4 კომპონენტში. (კომპონენტი 1.5)
4. რეკომენდებულია, დაშვების წინაპირობებში გადაიხედოს FCE- - ის მოთხოვნები, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანმიმდევრულობა ყველა საერთაშორისოდ აღიარებულ ენის ცოდნის ზღვრულ დონეებს შორის. (კომპონენტი 2.1)
5. რეკომენდებულია, გადაიხედოს გარკვეული სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და რუბრიკები. შეფასების კრიტერიუმების წარმოდგენა სტრუქტურირებული რუბრიკის ფორმატით, მკაფიოდ გამოყოფილი კატეგორიებით, გააუმჯობესებდა შეფასების თანმიმდევრულობას და დაეხმარებოდა სტუდენტებს უკეთ გაეაზრებინათ თავიანთი მოლოდინები. (კომპონენტი 2.4)
6. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ ოფიციალურად დაამტკიცოს სპეციალური, სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამა, რომელიც სპეციალურად მიმართული იქნება პერსონალის კომპეტენციების გაუმჯობესებაზე, სწავლის შედეგების დიზაინის, გაზომვისა და ანალიზის მიმართულებით. პროგრამა უნდა განხორციელდეს როგორც

პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური კალენდრის სავალდებულო და ციკლური კომპონენტი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა პერსონალისთვის.(კომპონენტი 4.3)

▪ **რჩევები**

1. უნდა აღინიშნოს, რომ ცოდნა და გაცნობიერების, აღწერის და უნარების კატეგორიებში ფიქსირდება გარკვეული კონცეპტუალური და ლინგვისტური გამეორება. სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს აღნიშნული სწავლის შედეგების გამარტივება და უზრუნველყოს მკაფიო პროგრესია ცოდნის შეძენიდან ანალიტიკურ და გამოყენებით უნარებამდე. (კომპონენტი 1.2)
2. სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა სილაბუსებში გათვალისწინებულ სავალდებულო საკითხავ მასალაში სახელმძღვანელოებთან ერთად შეიტანოს რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალების სტატიები, საკონფერენციო მასალები და აკადემიური მონოგრაფიები. (კომპონენტი 1.4)
3. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს უკუკავშირის თანმიმდევრულობა და სისტემატიზაცია, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს რეკომენდაციებისა და/ან წინადადებების თანმიმდევრულად და დაუყოვნებლივ გაზიარებას პერსონალთან და ფაკულტეტთან. მნიშვნელოვანია, დისკუსიის გაძლიერება და შეფასების შედეგების ეფექტური გამოყენება პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. (კომპონენტი 5.1)

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴**

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

შპს საქართველოს უნივერსიტეტს ეცნობა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის შინაარსი, რომელიც წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

უმალესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი. მოცემულ ნაწილში თავდაპირველად წარმოდგენილია ყველა რეკომენდაცია, რასაც მოჰყვება უსდ-ის არგუმენტირებული პოზიცია და ექსპერტთა ჯგუფის დამატებითი განმარტება მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

⁴პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

1. რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს რეგულარული მხარდაჭერა და ტრენინგი სწავლის შედეგების ფორმულირების, გაზომვის და ანალიზის უნარების გასაძლიერებლად. (კომპონენტი 1.3)

6. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ ოფიციალურად დაამტკიცოს სპეციალური, სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამა, რომელიც სპეციალურად მიმართული იქნება პერსონალის კომპეტენციების გაუმჯობესებაზე, სწავლის შედეგების დიზაინის, გაზომვისა და ანალიზის მიმართულებით. პროგრამა უნდა განხორციელდეს როგორც პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური კალენდრის სავალდებულო და ციკლური კომპონენტი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა პერსონალისთვის. (კომპონენტი 4.3)

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

უსდ იზიარებს რეკომენდაციებს.

უსდ-ის არგუმენტირებული პოზიცია:

ჩვენ ვეთანხმებით და სრულად ვიზიარებთ რეკომენდაციებს 1 და 2 (დასკვნის პროექტში 1-6)), ამასთან ერთად გაწვდით დამატებით განმარტებებს თითოეული რეკომენდაციის კონტექსტისა და საფუძვლის დასაზუსტებლად. აღნიშნული განმარტებების მიზანია უზრუნველყოს რეკომენდაციების განხორციელების გამჭვირვალობა და მათი შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან, ოპერაციულ პრაქტიკასა და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. ამით ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას უწყვეტი განვითარებისადმი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისა და სწავლებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებისადმი.

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სესიის დროს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ინსტიტუციური მიდგომა სწავლის შედეგების პირდაპირი და ირიბი შეფასების მიმართ.

პირდაპირი შეფასების ნაწილში განიმარტა, რომ სწავლის შედეგები სისტემურად ფასდება ციფრულ პლატფორმაში. ამ სისტემაში საგნის ავტორები, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან მჭიდრო თანამშრომლობით, უზრუნველყოფენ საგამოცდო კითხვების შესაბამისობას სასწავლო კურსის შედეგებთან. აღნიშნული შეფასების ელემენტები გამოიყენება საბოლოო გამოცდებში. შეფასების დასრულების შემდეგ პლატფორმა წინასწარ განსაზღვრული ალგორითმის საფუძველზე ითვლის თითოეული

სწავლის შედეგის მიღწევის დონეს, რაც იძლევა შესაძლებლობას გამოვლინდეს როგორც მიღწეული, ისე გაუმჯობესებას საჭირო შედეგები.

ინტერვიუების დროს მკაფიოდ აღინიშნა, რომ ეს პროცესი წარმოადგენს პერსონალის ყოველდღიური აკადემიური საქმიანობის განუყოფელ ნაწილს. ლექტორებს უწყვეტად ეძლევათ მხარდაჭერა შეფასების პროცესის ყველა ეტაპზე - როგორც ტექნიკურ, ისე შინაარსობრივ ნაწილში. მხარდაჭერა ხორციელდება ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრების, კონსულტაციებისა და ტექნიკური დახმარების გზით როგორც ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ასევე სკოლის დონეზე მოქმედი ხარისხის მენეჯერების მიერ.

ასევე აღინიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიებთან დაკავშირებული პროფესიული განვითარების აქტივობების ორგანიზებაში. ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ERASMUS+ პროექტში მონაწილეობაზე, რომელიც სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას (ქეისზე დაფუძნებული, პრობლემაზე დაფუძნებული და პროექტზე დაფუძნებული სწავლება) ეხება. აღინიშნა, რომ გარკვეული მეთოდები უკვე დანერგილი იყო სექტორულ სტანდარტებში მათი ასახვამდე, რაც მიუთითებს პროაქტიულ და ინოვაციურ მიდგომაზე.

გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ მიმდინარეობს ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის აქტიური განხილვა სწავლების პროცესში, მათ შორის აკადემიური კეთილსინდისიერების, შეფასებისა და პედაგოგიური ასპექტების მიმართულებით.

ვვარაუდობთ, რომ ინტერვიუების პროცესში პერსონალმა შესაძლოა სრულად ვერ წარმოადგინა ინფორმაცია უნივერსიტეტის პლატფორმის შესახებ, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ახალია, უკვე ეფექტურად გამოიყენება თავად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ მისივე ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში.

ჩვენ სრულად ვიზიარებთ რეკომენდაციას, რომ აღნიშნული კომპეტენციები უნდა იყოს სავალდებულო და განმეორებადი პროფესიული განვითარების ნაწილი. შესაბამისად, ვაგრძელებთ ტრენინგების სისტემურ ჩატარებას.

ამ მიზნით დაგეგმილია შემდეგი ტრენინგები:

1. სწავლის შედეგების ფორმულირება უმაღლეს განათლებაში;
2. ბლუმის ტაქსონომიის გაზომვადი ზმნების გამოყენება;
3. AI პლატფორმების გამოყენება სწავლის შედეგების განვითარებასა და შეფასებაში;
4. სწავლებისა და სწავლის მეთოდებისა და შედეგების კორელაცია.

ვფიქრობთ, აღნიშნული რეკომენდაცია უშუალოდ არ ეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ვინაიდან შესაბამისი ტრენინგები უკვე სისტემურად ტარდება.

აღნიშნული ინიციატივები მიზნად ისახავს პერსონალის კომპეტენციების დახვეწასა და გაძლიერებას ისეთ კრიტიკულ სფეროებში, როგორცაა სწავლის შედეგების ფორმულირება, გაზომვა და ანალიზი. ჩვენ მზად ვართ, მომავალშიც განვაგრძოთ აღნიშნული ძალისხმევა, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის ცოდნის მუდმივ გაძლიერებას ცვალებადი საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პროგრამული მოთხოვნების შესაბამისად.

2. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმაში გადაიხედოს კრედიტების განაწილება, განსაკუთრებით არჩევითი კომპონენტის ფარგლებში, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაძლებლობით აირჩიონ სასწავლო კურსების ფართო სპექტრი თავიანთი კვლევის ინტერესის შესაბამისად. (კომპონენტი 1.4)

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს პროგრამის კრედიტების თანმიმდევრულ სტრუქტურასა და სასწავლო დატვირთვის ბალანსირებულ განაწილებას სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს შორის. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არჩევითი კომპონენტების არსებული მოცულობა. რომელიც მხოლოდ 12 კრედიტით შემოიფარგლება, ზღუდავს სტუდენტების შესაძლებლობას, მიიღონ სიღრმისეული ცოდნა და ჩამოაყალიბონ ინდივიდუალურად მორგებული აკადემიური მიმართულებები.

სასწავლო გეგმის დიზაინის თვალსაზრისით, არჩევითი კურსები მხოლოდ დამხმარე ელემენტს არ წარმოადგენს; ისინი იმ ძირითად მექანიზმს ქმნიან, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები საკუთარ სწავლას კონკრეტულ კვლევით ინტერესებსა და პროფესიულ მიზნებს უსაბამებენ. არჩევითი კომპონენტის შეზღუდული მოცულობა ამცირებს სასწავლო გეგმის მოქნილობას, ზღუდავს წვდომას მრავალფეროვან ქვედარგებზე და შესაძლოა გამოიწვიოს ზედმეტად ერთგვაროვანი სასწავლო ტრაექტორიები. ამის საპირისპიროდ, არჩევითი კურსების უფრო ფართო არჩევანი იძლევა შერჩეულ სფეროებში სიღრმისეული ჩართულობის შესაძლებლობას, ხელს უწყობს ინტერდისციპლინურ კვლევას და აძლიერებს კავშირს სასწავლო კურსებსა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესს შორის.

აღნიშნული მიდგომა, თუმცა განსხვავებული ფორმებით, ასახულია წამყვან ევროპულ სამაგისტრო პროგრამებშიც; მათში არჩევითი კურსები სასწავლო გეგმის მნიშვნელოვან წილს

შეადგენს და ორგანიზებულია თემატურ მოდულებად ან სპეციალიზაციის მიმართულებებად (მაგ: გამოყენებითი ენათმეცნიერება, დისკურსის კვლევები, მულტილინგვიზმი, მთარგმნელობითი საქმიანობა ან კულტურის კვლევები). ეს სტრუქტურა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, დააკავშირონ ფართო ცოდნა სიღრმისეულ სპეციალიზაციასთან, იმ კურსების შერჩევით, რომლებიც თანდათანობით ავითარებს ცოდნას შერჩეულ სფეროში.

შესაბამისად, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემასთან შესაბამისობა არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც სასწავლო გეგმის დიზაინის უნიფიცირების მოთხოვნა; პირიქით, მან ხელი უნდა შეუწყოს სტრუქტურირებულ მოქნილობასა და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო ტრაექტორიების ჩამოყალიბებას. ამ კონტექსტში, ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას არჩევითი კრედიტების წილის გაზრდის შესახებ (რომელიც არსებულ კურიკულუმში მხოლოდ 2-3 კურსით შემოიფარგლება და 12 კრედიტს შეადგენს და არჩევითი კურსების ასორტიმენტის გამრავალფეროვნების თაობაზე. ამგვარი ცვლილება გაზრდის სასწავლო გეგმის მოქნილობას, სტუდენტებს მისცემს მკაფიო სპეციალიზაციის პროფილების ფორმირების შესაძლებლობას და ხელს შეუწყობს პროგრამის მიერ დიფერენცირებული აკადემიური თუ კვლევითი ტრაექტორიების მხარდაჭერას ევროპული უმაღლესი განათლების პრინციპების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი ძალაში ტოვებს რეკომენდაციას.

უსდ-ის არგუმენტირებული პოზიცია:

რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული შემდეგი მიზეზის გამო: პროგრამა იყენებს კრედიტების განაწილების თანმიმდევრულ სისტემას, რომელიც ასახავს სტუდენტის მთლიან ძალისხმევას და არ ეფუძნება მხოლოდ საკონტაქტო საათებს. სავალდებულო კურსები მიზნად ისახავს პროგრამის მიზნების შესაბამისი ცოდნისა და უნარების გადაცემას, ხოლო არჩევით კომპონენტებს თანაბარი წვლილი შეაქვს სტუდენტების დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესებაში. მიგვაჩნია, რომ კრედიტების თანაბარი განაწილება უზრუნველყოფს ბალანსირებულ აკადემიურ დატვირთვას და ინარჩუნებს ერთგვაროვან მოლოდინებს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით კურსებთან მიმართებით. კრედიტების აღნიშნული ერთგვაროვანი სტრუქტურა ასევე უწყობს ხელს სასწავლო გეგმის მთლიანობას, მხარს უჭერს სამართლიან და გამჭვირვალე შეფასების პრაქტიკას და აადვილებს სტუდენტთა ეფექტიან აკადემიურ პროგრესს. 1+1 პროგრამის შემუშავების პროცესში კურსის კრედიტების განაწილების საკითხი კიდევ ერთხელ გადაიხედება.

3. რეკომენდებულია, პროგრამაში გადაიხედოს კრედიტების განაწილება, როგორც ეს ხაზგასმულია 1.4 კომპონენტში. (კომპონენტი 1.5)

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

უსდ იზიარებს რეკომენდაციას.

უსდ-ის არგუმენტირებული პოზიცია:

ჩვენ სრულად ვეთანხმებით ექსპერტთა რეკომენდაციას სასწავლო კურსთან „ლინგვისტიკის კვლევის მეთოდები“-თან დაკავშირებით. 1+1 პროგრამაში კურსის კრედიტების რაოდენობა 3-დან 6-მდე გაიზრდება. იმის გათვალისწინებით, რომ 1+1 პროგრამის ძირითადი აქცენტი კვლევით კომპონენტზე კეთდება, ჩვენ ვიზიარებთ ექსპერტთა მოსაზრებას სასწავლო კურსისთვის კრედიტების გაზრდის მიზანშეწონილობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის საერთო

სასწავლო დატვირთვის გაძლიერებას. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს პროგრამის კვლევით ორიენტაციასთან უკეთეს შესაბამისობას და ხელს უწყობს მეორე კურსზე მაღალი დონის აკადემიური კომპეტენციების განვითარებას. ჩვენ ასევე ვიზიარებთ ექსპერტთა რეკომენდაციას სასწავლო კურსთან „ბიზნეს კომუნიკაცია“ დაკავშირებით. 1+1 პროგრამაში სტუდენტის დატვირთვა შეიცვლება დამოუკიდებელი მუშაობის საათების შემცირებით (96-დან 48 საათამდე), ქვიზებისთვის განკუთვნილი დროის გაზრდით (4-დან 12 საათამდე) და დასკვნითი პრეზენტაციის კომპონენტის ინტეგრირებით (40 საათი). ჩვენ ვიზიარებთ ექსპერტთა რეკომენდაციას სასწავლო კურსთან „ბიზნეს კომუნიკაცია“ დაკავშირებით, რადგან შემოთავაზებული ცვლილებები უზრუნველყოფს სტუდენტის დატვირთვის უფრო ბალანსირებულ და პედაგოგიურად გამართულ განაწილებას 1+1 პროგრამის სტრუქტურის ფარგლებში. კერძოდ, აღნიშნული ცვლილება ამცირებს დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობას (96-დან 48 საათამდე), რაც თავიდან აგვაცილებს სტუდენტის გადამეტებულ დატვირთვას დამოუკიდებელი მუშაობის ნაწილში; ამავდროულად, ქვიზებისთვის განკუთვნილი დროის გაზრდა (4-დან 12 საათამდე) ხელს შეუწყობს უწყვეტ შეფასებასა და სწავლის შედეგების განმტკიცებას. გარდა ამისა, დასკვნითი პრეზენტაციის კომპონენტის ინტეგრირება (40 საათი) ამღიერებს კურსის პრაქტიკულ და გამოყენებით განზომილებას, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციის ძირითადი კომპეტენციების განვითარებას. ერთობლიობაში, აღნიშნული ცვლილებები აუმჯობესებს შესაბამისობას სასწავლო აქტივობებს, შეფასების მეთოდებსა და სწავლის დასახულ შედეგებს შორის, რაც ზრდის კურსის მთლიან ეფექტიანობასა და თანმიმდევრულობას. ჩვენ ვეთანხმებით ექსპერტთა მოსაზრებას, რომ შეფასების მკაფიოდ განსაზღვრული კომპონენტები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უწყვეტობას და ხელს უწყობს სტუდენტთა მუდმივ ჩართულობას. აღნიშნული ცვლილება მოწონებულ იქნა სტუდენტების მიერ პროგრამის განვითარების საბჭოს ფარგლებში გამართულ დისკუსიებზე, ისევე როგორც კურსის ხელმძღვანელის მიერ. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება ოფიციალურად იქნა მიღებული და დაინერგა პროგრამაში.

4. რეკომენდებულია, დაშვების წინაპირობებში გადაიხედოს FCE- ის მოთხოვნები, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანმიმდევრულობა ყველა საერთაშორისოდ აღიარებულ ენის ცოდნის ზღვრულ დონეებს შორის. (კომპონენტი 2.1)

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

უსდ იზიარებს რეკომენდაციას.

უსდ-ის არგუმენტირებული პოზიცია:

ჩვენ ვიზიარებთ ექსპერტთა რეკომენდაციას პროგრამაზე მიღების წინაპირობად FCE სერტიფიკატის ფლობის მოთხოვნის გადახედვის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ასახულია თანდართულ პროგრამაში.

5. რეკომენდებულია, გარკვეული კურსების შეფასების კომპონენტებისა და რუბრიკების გადახედვა: შეფასების კრიტერიუმების წარმოდგენა სტრუქტურირებული რუბრიკის ფორმატით, მკაფიოდ გამოყოფილი კატეგორიებით, გააუმჯობესებდა შეფასების თანმიმდევრულობას და დაეხმარებოდა სტუდენტებს უკეთ გაეაზრებინათ თავიანთი მოლოდინები. (კომპონენტი 2.4)

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

უსდ იზიარებს რეკომენდაციას.

უსდ-ის არგუმენტირებული პოზიცია:

ჩვენ ვეთანხმებით ექსპერტთა რეკომენდაციას კურსის „პროექტის მენეჯმენტი“ შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, ვინაიდან შემოთავაზებული ცვლილებები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სრულ გამჭვირვალობასა და გაგებას. კურსის შეფასების ფორმატში ინტეგრირებულია ისეთი ძირითადი კომპონენტები, როგორცაა სტრუქტურა და ორგანიზება, არგუმენტაცია, ლიტერატურის გამოყენება, აკადემიური წერის სტანდარტები (APA) და პრეზენტაციის სიცხადე. კერძოდ, შესაბამისი აღწერილობები ინტეგრირებული იქნება შუალედური და საბოლოო გამოცდების შეფასების ფორმატში.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:**

- პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური / სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება 16 აკადემიური პერსონალის წევრის მიერ, რომელთა შორის არიან აკადემიური, საერთაშორისო და მოწვეული პირები. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 სრული აკადემიური პერსონალი, მათ შორის 4 პროფესორი და 8 ასოცირებული პროფესორი. პროგრამას ასევე ჰყავს 4 მოწვეული პერსონალის წევრი და 2 საერთაშორისო (უცხოელი) პედაგოგი, რაც ასახავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ვალდებულებას. ამჟამად, სამეცნიერო პერსონალის სამტატო ერთეულები ვაკანტურია.

10 აფილირებული აკადემიური პერსონალის წევრიდან 3 აფილირებული პროფესორია, ხოლო 7 აფილირებული ასოცირებული პროფესორი. 16 პერსონალის წევრიდან 9 ფლობს დოქტორის ხარისხს დარგობრივ მიმართულებაში. კერძოდ, ინგლისურ ფილოლოგიაში, ლინგვისტიკაში, ლიტერატურაში ან უშუალოდ მასთან დაკავშირებულ სფეროში, რაც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შიდა საკადრო

პოლიტიკით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალის კვალიფიკაცია აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში დაცულ პირად საქმეებში.

პერსონალის საერთო რაოდენობის თანაფარდობა ჩარიცხულ სტუდენტებთან (3.20:1) მნიშვნელოვნად აღემატება მინიმალურ მოთხოვნებს, რაც თითოეულ სტუდენტს უზრუნველყოფს ინტენსიური აკადემიური ჩართულობით და საკონსულტაციო საათების შესაძლებლობით. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან (3:1) უზრუნველყოფს, ძირითადი შინაარსობრივი და კვლევითი კომპონენტების განხორციელებას აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ.

პროგრამას ჰყავს 9 კვალიფიციური სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, რომლებიც ფლობენ დოქტორის ხარისხს და ავლენენ აქტიურ კვლევით ჩართულობას. 5 აქტიურ სტუდენტთან მიმართებით აღნიშნული აჩვენებს 1 სტუდენტზე 1.80 ხელმძღვანელის თანაფარდობას, ხელმძღვანელობის გამორჩეულ გარემოს, რომელიც იძლევა თითოეული სტუდენტის კვლევის და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესის მდგრად, მაღალი ხარისხის, ინდივიდუალური ხელმძღვანელობის საშუალებას. თითოეული ხელმძღვანელის სამუშაო დატვირთვის სქემა განახლებულია ყოველ სემესტრში და მოიცავს სასწავლო ვალდებულებებს, კვლევით საქმიანობას, ხელმძღვანელობის და საკონსულტაციო საათებს. ხელმძღვანელობა ოფიციალურად აღიარებულია და მხარდაჭერილია, როგორც პერსონალის სამუშაო დატვირთვით დადგენილი პროფესიული მოვალეობა.

ცხრილი 1. პერსონალის შემადგენლობა

პერსონალის კატეგორია	რაოდენობა
პროგრამაში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობა	16
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	12
<ul style="list-style-type: none"> პროფესორი 	4
<ul style="list-style-type: none"> ასოცირებული პროფესორი 	8
<ul style="list-style-type: none"> ასისტენტ პროფესორი / ასისტენტი 	0
სამეცნიერო პერსონალი	0
აფილირებული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	10

• აფილირებული პროფესორი	3
• აფილირებული ასოცირებული პროფესორი	7
სასწავლო პროცესში ჩართული საერთაშორისო (უცხოელი) პერსონალი	2
მოწვეული პერსონალი	4
დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	9
ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობა (სამაგისტრო ნაშრომი)	9

- სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები;

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აჩვენებს ძლიერ და მდგრად სამეცნიერო პროდუქტიულობას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამის პერსონალმა შექმნა სულ 310 სამეცნიერო ნაშრომი ყველა კატეგორიაში. პუბლიკაციების და კონფერენციების შესახებ დეტალური ინფორმაცია კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ მე-2 ცხრილში:

ცხრილი 2. პროგრამის პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი პროდუქტიულობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში)

სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში)			რაოდენობა
პუბლიკაციები ჟურნალებში	საერთაშორისო	რეცენზირებად	132
პუბლიკაციები ადგილობრივ რეცენზირებად ჟურნალებში			38
პუბლიკაციების საერთო რაოდენობა (ყველა კატეგორია)			310

პრეზენტაციები საერთაშორისო კონფერენციებზე	114
პრეზენტაციები ადგილობრივ კონფერენციებზე	26
სხვა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები	0

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალი გამოირჩევა განსაკუთრებული სტაბილურობით. ძირითადი აკადემიური პერსონალის არცერთ წევრს არ დაუტოვებია უნივერსიტეტი. მოწვეული პერსონალის მხრივ, შეიმჩნევა კადრების მცირე გადინება, რაც შეესაბამება მოწვეული პოზიციების ბუნებას.

ცხრილი 3. პერსონალის გადინება

პერსონალის კატეგორია	ახალი პერსონალი	წასული პერსონალი	გადინება	შენარჩუნება
აკადემიური პერსონალი	2	0	0.0%	100%
მოწვეული პერსონალი	2	1	28.6%	66.7%

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

პროგრამაზე განხორციელდა ოთხი სტუდენტური კოჰორტის მიღება. თითოეულ სასწავლო წელს გამოცხადებულია 5 სტუდენტური ადგილი. აპლიკანტების და ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა აჩვენებს დადებითი ზრდის ტენდენციას, ხოლო მეოთხე მიღების ფარგლებში სრულად შეივსო გამოცხადებული სტუდენტური ადგილები (გამოცხადებულ 5 ადგილზე ჩაირიცხა 8 სტუდენტი, რაც აჩვენებს მაღალ მოთხოვნას და გადაჭარბებულ ჩარიცხვას). ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია აპლიკანტების და ჩარიცხულ პირთა მონაცემები კოჰორტების მიხედვით.

ცხრილი 4. აპლიკანტები და ჩარიცხული სტუდენტები ნაკადების მიხედვით

მაჩვენებელი	კოჰორტა 1	კოჰორტა 2	კოჰორტა 3	კოჰორტა 4
გამოცხადებული სტუდენტური ადგილების რაოდენობა	5	5	5	5
აპლიკანტების საერთო რაოდენობა	4	4	5	5
ჩარიცხული პირები	3	3	4	8
მათ შორის ჩარიცხული უცხოელი სტუდენტები	0	0	2	0

მეხუთე ცხრილში წარმოდგენილი სტუდენტების პროგრესის მონაცემები ასახავს კოჰორტებში შენარჩუნების მაღალ მაჩვენებლებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მეოთხე კოჰორტამ მეორე კურსზე მიაღწია შენარჩუნების 100% - იან მაჩვენებელს. პირველ და მეორე კოჰორტებში ფიქსირდება მესამე კურსზე გადასული სტუდენტების შენარჩუნების 100% - იანი მაჩვენებელი, რაც მიუთითებს ძლიერ მხარდამჭერ აკადემიურ გარემოზე და ეფექტური ხელმძღვანელობის არსებობაზე. არცერთ კოჰორტაში არ დაფიქსირებულა სტუდენტის მიერ სტატუსის შეწყვეტა ან შეჩერება.

ცხრილი 5. სტუდენტების პროგრესის სასწავლო წლის და კოჰორტის მიხედვით

სასწავლო წელი	კოჰორტა 1	კოჰორტა 2	კოჰორტა 3	კოჰორტა 4	კოჰორტა 5
პირველი სასწავლო წელი (აქტიური)	-	-	-	-	-
მეორე სასწავლო წელი (აქტიური)	3 (60%)	3 (60%)	4 (80%)	8 (100%)	-

მესამე სასწავლო წელი (აქტიური)	3 (100%)	3 (100%)	2 (50%)	-	-
შეწყვეტილი სტატუსის მქონე სტუდენტები	-	-	-	-	-
შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტები	-	-	-	-	-

- **თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი**

პროგრამის განხორციელების პერიოდში სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო - კვლევით პროექტებში, მათ შორის ისეთ აქტივობებში, როგორცაა სამეცნიერო ნაშრომები, კონფერენციები, გამოფენები და სტაჟირებები. აღნიშნული ჩართულობა აისახა პროგრამის შესაბამის მაჩვენებელში, რომელმაც შეადგინა 9 ქულა.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 100% - ს, რაც მიუთითებს კვალიფიკაციის შესაბამისობაზე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამის ერთმა სტუდენტმა ასევე მონაწილეობა მიიღო გარე მობილობაში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

უსდ - მ თვითშეფასების ანგარიშში არ ასახა აკრედიტაციის პერიოდში მიღწეული მნიშვნელოვანი მიღწევები და / ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე, წინა შეფასების პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი. გაუგებარია, თუ რატომ იქნა გამოტოვებული ეს მნიშვნელოვანი ასპექტი.

თუმცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა 2023 წლის მონიტორინგის ანგარიში, რომლის საფუძველზეც ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციების შეჯამება:

კომპონენტი 1.5

რეკომენდებულია, გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო ლიტერატურა უახლესი აკადემიური და სამეცნიერო პუბლიკაციების, სტატიების, ემპირიული მასალების და კვლევის შედეგების დამატებით, რომლებიც ასახავენ უახლეს ტენდენციებს და მოიცავენ ავთენტურ ენას, განსაკუთრებით სასემინარო და პრაქტიკული სამუშაოებისთვის.

რეკომენდებულია, გადაიხედოს და შეიცვალოს პროგრამის სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა, მათ შორის საკონტაქტო საათები და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განსაზღვრული დრო, მასალის სირთულის და სასწავლო მოთხოვნების გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა თითოეული კურსის სპეციფიკასთან და შინაარსთან.

სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიმიჯნოს და დაზუსტდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, სტუდენტების დამოუკიდებელი სწავლის მხარდაჭერის და ხელშეწყობის მიზნით.

კომპონენტი 2.3

რეკომენდებულია, "პროექტების მართვის" სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლების მეთოდები გაიმიჯნოს აქტივობებისაგან, რაც უფრო მკაფიოს და გამჭვირვალეს გახდის მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კომპონენტი 2.4

რეკომენდებულია, გადაიხედოს ცალკეული კურსების შეფასების კომპონენტები და რუბრიკები და თანხვედრაში იქნეს მოყვანილი შესაბამისი საგნების სპეციფიკასთან და სწავლის შედეგებთან.

ინფორმაცია მონიტორინგის დასკვნაში წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების შესახებ:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლის შემდეგ, შეიცვალა 2.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია. კერძოდ, დაზუსტდა კურსი, რომელსაც ეხებოდა რეკომენდაცია.

რაც შეეხება სხვა კომპონენტებში გაცემულ რეკომენდაციებს, ისინი სრულად იქნა გაზიარებული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, დასკვნაში ასახული გარემოებების ანალიზის გათვალისწინებით. მიმდინარე ეტაპზე, ლიტერატურა პრაქტიკულად განახლებულია, გადაიხედა სილაბუსები და აღმოიფხვრა ტექნიკური ხარვეზები.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია
4.	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები; რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში / დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, პრაქტიკული და მიღწევადია. ისინი ითვალისწინებენ დისციპლინის სპეციფიკას, სწავლის დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას. აღნიშნულ მიზნებში ხაზგასმულია ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შეიძინონ სტუდენტებმა და ამავე დროს წარმოჩენილია პროგრამის წვლილი სფეროს და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამა კურსდამთავრებულებს აყალიბებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად, რომლებიც მზად იქნებიან ღირებული წვლილი შეიტანონ განათლების სექტორისა და საზოგადოების განვითარებაში.

მიზნები შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ მიმართულებას. როგორც უსდ - ს მისიაშია აღნიშნული, დაწესებულება ისწრაფვის ინოვაციებისა და სრულყოფილებისაკენ, ხელს უწყობს დემოკრატიულ განვითარებას საქართველოს და კაცობრიობის სასიკეთოდ. პროგრამა ასახავს დაწესებულების ვალდებულებას სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ და აქცენტს აკეთებს პრიორიტეტებზე, რომლებიც სცდება მოგებაზე ორიენტირებულ მოტივაციას. ის ქვეყნის მომავალ ინტელექტუალურ ლიდერებს სთავაზობს ფართო პერსპექტივებს. მიზნები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის საფეხურს, დარგის სპეციფიკურ აღმწერებს და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს.

მიზნები ასევე შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს გააგრძელონ სწავლა განათლების შემდეგ საფეხურზე. უსდ - მ ჩაატარა ბაზრის კვლევა იმ მიზნით, რომ შეესწავლა საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებში, უნივერსიტეტებში (სახელმწიფო და კერძო), საგამომცემლო სექტორში, სკოლებში, კვლევით ინსტიტუტებში და სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებში. ინტერვიუებით დადასტურდა, რომ არსებობს რეალური მოთხოვნა აღნიშნული დარგის სპეციალისტებზე.

თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუს შედეგების თანახმად, მიზნები ასევე ასახავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებზე როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს და აქტიურად თანამშრომლობს დაინტერესებულ მხარეებთან (პოტენციური დამსაქმებლები და აკადემიური პერსონალი) თვითშეფასების პროცესში, განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისას. ინტერვიუების ფარგლებში, დადასტურდა აღნიშნულ პროცესებში დამსაქმებლებთან თანამშრომლობა.

ასეთი ჩართულობა ხელს უწყობს პროგრამის კურსდამთავრებულთა წარმატებულ დასაქმებას საჯარო და კერძო სექტორებში, სადაც არსებობს მოთხოვნა ინგლისურ ფილოლოგიაში შესაბამისი თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილ ინგლისურენოვან სპეციალისტებზე.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული იყო და შემდგომ ვიზიტის დროსაც დადასტურდა, რომ ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების და საერთაშორისო ტენდენციების გამოსავლენად და თვითშეფასების შემუშავების მიზნით ყოვლისმომცველი მონაცემების შესაგროვებლად, ხორციელდება შედარებითი ანალიზი. აღნიშნული კვლევა პროგრამას ადარებს მსგავს ინგლისურენოვან პროგრამებთან როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შესაბამისობას ლოკალურ და გლობალურ შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ინტერვიუების ფარგლებში ასევე დადასტურდა, რომ მიზნები კარგად არის გააზრებული და მხარდაჭერილია პროგრამაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს სტუდენტის მიერ პროგრამის დასრულებისას შეძენილ ცოდნას და უნარებს. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღმწერებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ სფეროს შინაარსს. სწავლის შედეგები ეფუძნება დარგობრივ მახასიათებელს. პროგრამის სწავლის შედეგების შედარება ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან (პუნქტი 3.2, მაგისტრატურა) მიუთითებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ზოგადად შეესაბამება დარგში სამაგისტრო საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ცოდნის და გაცნობიერების თვალსაზრისით, დარგობრივი მახასიათებელი კურსდამთავრებულებისგან მოითხოვს სამიზნე ენის, მისი კულტურული და სოციალური გარემოს, ლინგვისტიკასთან და მომიჯნავე დისციპლინებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების სიღრმისეულ და სისტემატურ ცოდნას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება აღნიშნულ მოთხოვნებს და აქცენტს აკეთებს ენის, კულტურის და სოციალური ქცევის ურთიერთქმედების ცოდნაზე; თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმებზე, ტენდენციებზე და თეორიებზე; ინგლისური ენის ისტორიაზე და განვითარებაზე და ლიტერატურული ანალიზის პრინციპებზე ლინგვისტურ და სოციოკულტურულ კონტექსტებში. აღნიშნული სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს, კერძოდ, კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ სამიზნე ენასთან დაკავშირებული ძირითადი

საკითხების გამოვლენა და აღწერა და თანამედროვე თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენება.

უნარების თვალსაზრისით, დარგობრივი მახასიათებელი ხაზს უსვამს სამიზნე ენის ეფექტურ გამოყენებას წერილობით და ზეპირ კომუნიკაციაში, ენაში და მის სოციალურულ გარემოში მომხდარი ცვლილებების კრიტიკულ ანალიზს, სხვადასხვა პერსპექტივიდან ინფორმაციის ანალიზს და სინთეზს, ასევე კომუნიკაციის, პრეზენტაციის და კვლევის უნარებს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება აღნიშნულ მოთხოვნებს, ვინაიდან კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელია ლინგვისტური ცვლილებების და თეორიული მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სხვადასხვა კონტექსტში ლიტერატურული ტექსტების ინტერპრეტაცია, კვლევაში თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების სინთეზი და კარგად სტრუქტურირებული წერილობითი და ზეპირი ტექსტების შექმნა. მეტიც, სწავლის შედეგებში აქცენტი კეთდება ეფექტურ კომუნიკაციაზე ინტერკულტურულ და პროფესიულ კონტექსტებში, ინფორმაციის მოძიებაზე, ანალიტიკურ მსჯელობაზე და იდეების წარდგენაზე სპეციალისტების და არასპეციალისტების წინაშე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნას კვლევის, კომუნიკაციის და პრობლემის გადაჭრის უნარებთან დაკავშირებით. პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის თვალსაზრისით, დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებელი კვლევითი და პროფესიული საქმიანობის წარმართვის უნარი, სხვადასხვა აკადემიურ ან პროფესიულ გარემოში ფუნქციონირებას, აგრეთვე, დემოკრატიული პრინციპების, ინტერკულტურული ცნობიერების და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას. პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია აღნიშნული მოლოდინები და აქცენტი კეთდება დამოუკიდებელ კვლევაზე, პროფესიული განვითარების პასუხისმგებლობაზე და სამეცნიერო და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვაზე. ამავდროულად, პროგრამა ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების, კვლევის მონაცემების სინთეზის და წარდგენის უნარის განვითარებას. საერთო ჯამში, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლით სამაგისტრო საფეხურისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

ისინი გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება შესაბამისი ცოდნა ენის, კულტურის, მენტალური რეპრეზენტაციების და სოციალური ქცევის

ურთიერთქმედების, თანამედროვე ლინგვისტიკის ძირითადი პარადიგმების, ტენდენციების და კონცეფციების შესახებ, მათ შორის ლინგვისტური კვლევის ობიექტების კონსტრუირების პრინციპების და თანამედროვე ლინგვისტური თეორიების და კვლევითი მიდგომების განმარტების პოტენციალი პრაქტიკული მნიშვნელობის ჩათვლით. კურსდამთავრებულს ეცოდინება C1 დონეზე სხვადასხვა საკომუნიკაციო ტექსტის კონსტრუირების პრინციპები და გამოიყენებს ეფექტური ინტერკულტურული და პროფესიული (ბიზნეს) კომუნიკაციის სტრატეგიებს და ეთიკურ ნორმებს. გარდა ამისა, კურსდამთავრებული იცნობს მხატვრული ნაწარმოებების ანალიზის პრინციპებს ლინგვისტური და სოციოკულტურული კონტექსტების, აგრეთვე ფილოსოფიური, ესთეტიკური, პოლიტიკური და სოციალური პერსპექტივების გათვალისწინებით და ესმის პროექტების მართვის მეთოდები და ინსტრუმენტები, ასევე პროექტის სასიცოცხლო ციკლის სპეციფიკა. კურსდამთავრებულს შეუძლია ინგლისური ენის ისტორიის და განვითარების აღწერა ისტორიული ლინგვისტიკის ცოდნის გამოყენებით, ლინგვისტური, კულტურული და სოციალური აღქმის ურთიერთქმედების განმარტება და ლინგვისტიკის დარგებს შორის ურთიერთობის და თანამედროვე ლინგვისტიკაში ლინგვისტური აზროვნების და პარადიგმების დინამიკის დახასიათება. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სტრუქტურული და კოგნიტური სემანტიკის მიდგომებზე და სხვა შესაბამის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოებზე დაყრდნობით მხატვრული ტექსტების დამუშავების პროცედურების აღწერა. კურსდამთავრებული აჩვენებს უნარების ფართო სპექტრს, მათ შორის ინგლისური ენის ცვლილებების მიზეზების კრიტიკული ანალიზის და ფილოლოგიური კვლევისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომების, პარადიგმების და თეორიების შეფასების უნარს. კურსდამთავრებულს შეუძლია მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებების ინტერპრეტაცია ლინგვისტურ, სოციოკულტურულ, ფილოსოფიურ, ესთეტიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტებში, ასევე ლინგვისტური კვლევის და ლიტერატურული ანალიზის წარმართვისას თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების სინთეზი. გარდა ამისა, კურსდამთავრებული შეძლებს სხვადასხვა სახის კომუნიკაციის მიზნით კარგად სტრუქტურირებული წერილობითი და ზეპირი ტექსტების შექმნას შესაბამისი სტრატეგიების, სტილების, ორგანიზაციული ნიმუშების და დამაკავშირებელი საშუალებების გამოყენებით, აგრეთვე, ეთიკური სტანდარტების დაცვით ეფექტური კომუნიკაციის წარმართვას ინტერკულტურულ და პროფესიულ კონტექსტებში. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია პროექტების მომზადება და მართვა, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება და შეფასება, ფილოლოგიისათვის აქტუალურ საკითხებზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება,

აგრეთვე, იდეების მკაფიოდ და თანმიმდევრულად წარდგენა როგორც სპეციალისტებისათვის (მაგალითად, ფილოლოგები და ენის მასწავლებლები), ისე არასპეციალისტებისათვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის თვალსაზრისით, კურსდამთავრებული იყენებს ფილოლოგიის სისტემატურ და სიღრმისეულ ცოდნას, აცნობიერებს დარგის სირთულეს და ინტერდისციპლინურ ხასიათს, იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და იღებს პროფესიული განვითარების პასუხისმგებლობას აკადემიურ ნაშრომებში, როგორცაა საკურსო ნაშრომები, მცირე მასშტაბის კვლევითი პროექტები და სამაგისტრო ნაშრომი მონაცემების შედარების, შეჯამების, სინთეზის და წარდგენის გზით. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყო ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე. ინტერვიუს ფარგლებში დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა მათი რჩევები და ინიციატივები შესაბამისი უნარების განვითარებასთან დაკავშირებით, რაც მხედველობაში იქნა მიღებული პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განვითარების საბჭოს მიერ. ვლინდება გარკვეული კონცეპტუალური და ლინგვისტური გამეორება ცოდნა და გაცნობიერების, აღწერის და უნარების კატეგორიებში, განსაკუთრებით თანამედროვე ლინგვისტური პარადიგმების, მხატვრული ტექსტის ანალიზის და ენის, კულტურის და საზოგადოების ურთიერთქმედებასთან მიმართებით. სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს აღნიშნული სწავლის შედეგების გამარტივება და მკაფიო პროგრესის უზრუნველყოფა ცოდნის შეძენიდან ანალიტიკური და გამოყენებითი უნარების განვითარებამდე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- სასწავლო კურსების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან;
- დარგობრივი მახასიათებელი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნდა აღინიშნოს, რომ ცოდნა და გაცნობიერების, აღწერის და უნარების კატეგორიებში ფიქსირდება გარკვეული კონცეპტუალური და ლინგვისტური გამეორება. სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს აღნიშნული სწავლის შედეგების გამარტივება და უზრუნველყოს მკაფიო პროგრესია ცოდნის შექმნიდან ანალიტიკურ და გამოყენებით უნარებამდე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	აირჩიეთ შესაბამისი შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება რექტორის საბჭოს მიერ 2020 წლის 24 ნოემბერს დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროგრამის დებულებას“ (ოქმი N51/20).

პროგრამა მოიცავს შესაბამისობის რუკას, რომელიც პროგრამის მიზნებს აკავშირებს სწავლის შედეგებთან. გარდა ამისა, პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა ასახავს კურსის სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას და განსაზღვრავს დონეს, რომელზეც ვითარდება და მიიღწევა თითოეული პროგრამის სწავლის შედეგი.

აღნიშნულ დებულებაში წარმოდგენილია შეფასების მექანიზმის ზოგადი აღწერა. დებულებაში მითითებულია, რომ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების შესაბამის ფორმებს და მეთოდებს, რომლებიც ზომავენ

სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული მექანიზმის განხორციელება გულისხმობს შეფასების პროცესის მონიტორინგს, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს (სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი) და სწავლის შედეგების წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან შედარებას. სტუდენტის მიღწევის მოსალოდნელი დონის ასახვის მიზნით, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები.

თუმცა აღწერილი მექანიზმი საკმაოდ ზოგადია და მკაფიოდ არ განსაზღვრავს კონკრეტულ კურსებს, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, ასევე არ არის დაზუსტებული წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასების კონკრეტული მეთოდები ან აქტივობები.

გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით გამოიყენება არაპირდაპირი მეთოდი. ამ მიზნით შემუშავებულია კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, რომელთა მეშვეობით ორივე ჯგუფი აფასებს პროგრამის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს აღნიშნულ გამოკითხვებს და აანალიზებს მიღებულ შედეგებს იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგები დადგენილ სამიზნე ნიშნულებს.

უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული იყო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება. დოკუმენტში მითითებული იყო, რომ აღნიშნული პროცესი ხორციელდება უნივერსიტეტის შიდა პლატფორმის Online UG - ის გამოყენებით. პლატფორმა პროგრამის სწავლის შედეგების, კურსის სწავლის შედეგების, გამოცდების და შეფასების ინსტრუმენტების (მაგალითად, ღია კითხვები და თემები), აგრეთვე სასწავლო პროცესში სხვა აქტივობების ინტეგრირებით სისტემატურად აკავშირებს შეფასების პროცესს სწავლის შედეგებთან. პირდაპირი შეფასების მექანიზმი მოიცავს რამდენიმე ეტაპს. პირველ რიგში, სწავლის შედეგები დაკავშირებულია კონკრეტულ შეფასების ინსტრუმენტებთან, ანუ თითოეული სწავლის შედეგი წინასწარ უკავშირდება შესაბამის გამოცდას და შეფასების ინსტრუმენტებს. შემდგომ, სისტემა ავტომატურად აგროვებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემებს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე. Online UG პლატფორმა ალგორითმის მეშვეობით ითვლის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის დონეს. საბოლოოდ, მექანიზმი საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური

კომპეტენციები და განისაზღვროს, რომელი კომპეტენციები არის სრულად მიღწეული, რომელი საჭიროებს გაძლიერებას და რომელი კორექტირებას. პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება ხორციელდება წელიწადში სულ მცირე ერთხელ, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნული პროცესის ხარისხს განიხილავს სულ მცირე ორ წელიწადში ერთხელ. შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამის განვითარების საბჭო ამზადებს რეკომენდაციებს, რომლებიც აისახება პროგრამის დაგეგმილ ცვლილებებში და დასამტკიცებლად წარედგინება პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს.

თუმცა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სათანადოდ არ არის გათვითცნობიერებული სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოყენებულ მეთოდებში. პროგრამის ხელმძღვანელმა ვერ წარმოადგინა ზუსტი ინფორმაცია, თუ როგორ ფუნქციონირებს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი პრაქტიკაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს რეგულარული მხარდაჭერა და სავალდებულო ტრენინგები, რომლებიც მიმართული იქნება სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვის და ანალიზის კომპეტენციების განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- სწავლის შედეგების რუქა;
- სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები.

[რეკომენდაციები.](#)

- რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს რეგულარული მხარდაჭერა და ტრენინგი სწავლის შედეგების ფორმულირების, გაზომვის და ანალიზის უნარების გასაძლიერებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	აირჩიეთ შესაბამისი მეტწილად შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამა შეესაბამება დაწესებულების წესდებს, საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემას (ECTS). პროგრამის დიზაინი, სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას პროგრამის სწავლის შედეგებს, კურსის შინაარსს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას შორის.

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის ორგანიზებული და ასახავს უმაღლესი განათლების მეორე ციკლს (სამაგისტრო დონე). პროგრამა მოიცავს 108 ECTS კრედიტს, რომელიც განაწილებულია სავალდებულო კურსებს, არჩევით კურსებს და სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS კრედიტი) შორის. სასწავლო გეგმა ხელს უწყობს ცოდნის და კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას თანმიმდევრულად დალაგებული ურთიერთდაკავშირებული კურსების

მეშვეობით, რომლებიც აერთიანებენ ლინგვისტურ, ლიტერატურულ და ინტერდისციპლინურ პერსპექტივებს. საბაზისო კურსები, როგორცაა აკადემიური წერა და კვლევა, თანამედროვე ლინგვისტიკა, ინგლისური ენა დროსა და სივრცეში და ტექსტი და კონტექსტი, სტუდენტებს აცნობს ინგლისური ფილოლოგიის ძირითად თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს. აღნიშნულ კურსებს მოსდევს უფრო მოწინავე კურსები, მათ შორის თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმები და ტენდენციები, ენა, კულტურა და საზოგადოება, ინტერკულტურული კომუნიკაცია და ლიტერატურული თეორია, რომლებიც აძლიერებენ სტუდენტების ანალიტიკურ და კვლევაზე ორიენტირებულ კომპეტენციებს.

პროგრამა სწავლების და კვლევის კომპონენტებს აერთიანებს ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც სტუდენტებს ამზადებს დამოუკიდებელი სამეცნიერო საქმიანობისთვის და სრულდება სამაგისტრო ნაშრომით ინგლისურ ფილოლოგიაში. კვლევაზე ორიენტირებული კომპეტენციები ვითარდება ისეთი კურსების მეშვეობით, როგორებიც არის კვლევის მეთოდები ლინგვისტიკაში და აკადემიური წერა და კვლევა, რომელთა მიზანია მეთოდოლოგიური ცნობიერების, ანალიტიკური შესაძლებლობების და აკადემიური წერის უნარების განვითარება.

გარდა ამისა, პროგრამა მოიცავს არჩევითი კურსების მრავალფეროვან სპექტრს, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეისწავლონ ლინგვისტიკის, ლიტერატურის, დისკურსის შესწავლის და განათლების სპეციალიზებული თემები. მათ შორისაა ისეთი კურსები, როგორებიცაა გამოყენებითი ლინგვისტიკა, დისკურსის ანალიზი, სოციოლინგვისტიკა, პრაგმატიკა, ენა და გენდერი, მედია დისკურსი და უტოპიური და დისტოპიური ლიტერატურა. არჩევითი კომპონენტი ხელს უწყობს ინდივიდუალიზებულ სასწავლო გამოცდილებას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს დახელოვნდნენ თავიანთი აკადემიური ინტერესების და პროფესიული მისწრაფებების შესაბამის სფეროებში.

სასწავლო გეგმა ძირითადად ასახავს ლინგვისტიკის, ლიტერატურული კვლევების და ინტერდისციპლინური კვლევების უახლეს მიღწევებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას თანამედროვე თეორიულ ჩარჩოებში (მაგალითად, ისეთი კურსები, როგორებიცაა თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმები და ტენდენციები, თანამედროვე ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა და სხვ.). პროგრამა ასევე მოიცავს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს, მათ შორის უცხოენოვანი აკადემიური ლიტერატურის გამოყენებას და გლობალური ლინგვისტური, კულტურული და სოციალური პროცესების განხილვას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კურსები ისწავლება შესაბამისი მასალებით და პრაქტიკული სახელმძღვანელოებით, კურსის სილაბუსებში არ არის წარმოდგენილი საკმარისი ინფორმაცია სავალდებულო სამეცნიერო პუბლიკაციების გამოყენების შესახებ. უფრო კონკრეტულად, ყოველკვირეული სასწავლო მასალების უმეტესობა ძირითადად მოიცავს სახელმძღვანელოებს და პრაქტიკული სწავლების სახელმძღვანელოებს. უმეტესწილად, სილაბუსის ყოველკვირეული სტრუქტურა ორგანიზებულია ერთი ძირითადი სახელმძღვანელოს თავების ირგვლივ, შეზღუდულია უახლესი რეცენზირებადი სამეცნიერო პუბლიკაციების გამოყენება. აღნიშნული მიუთითებს, რომ კურსებში უპირატესობა ენიჭება უფრო სტრუქტურირებულ სასწავლო მასალებს ვიდრე მრავალფეროვან სამეცნიერო ლიტერატურას. შესაბამისად, სასურველია სასწავლო კურსებში

ინტენსიურად იქნეს გამოყენებული საკითხავი მასალა რეცენზირებადი ჟურნალებიდან, საკონფერენციო მასალებიდან და აკადემიური მონოგრაფიებიდან, იმისათვის, რომ სტუდენტები გაეცნონ კვლევის თანამედროვე ტენდენციებს და მეთოდოლოგიებს. აღნიშნული რჩევა განსაკუთრებით აქტუალურია კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით, სადაც აღინიშნა, რომ სტუდენტებს ძირითადად სამეცნიერო წყაროების მოძიება შეეძლოთ Google Scholar-ის და Academia.edu-ს მეშვეობით. ამავდროულად, ისინი ნაკლებად იყენებდნენ უნივერსიტეტში ხელმისაწვდომ სამეცნიერო ბაზებს, როგორებიცაა Scopus და Web of Science. სილაბუსებში რეცენზირებადი ლიტერატურის დამატება ხელს შეუწყობს ყოვლისმომცველი აკადემიური რესურსების უფრო სისტემატურ გამოყენებას და სტუდენტების კვლევითი კომპეტენციების განვითარებას.

კიდევ ერთი საყურადღებო საკითხია კრედიტების განაწილება. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურა ზოგადად მიჰყვება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემას (ECTS) და უზრუნველყოფს კურსების განაწილების ბალანსს სემესტრების მიხედვით, ცალკეულ კურსებში კრედიტების განაწილება შედარებით ერთგვაროვანია, რაც შეიძლება სრულად ვერ ასახავდეს სხვადასხვა საგნის რეალურ სამუშაო დატვირთვას და აკადემიურ მოთხოვნებს. ორი კურსის გარდა - კვლევის მეთოდები ლინგვისტიკაში (3 ECTS კრედიტი) და ტექსტი და კონტექსტი (9 ECTS კრედიტი), პროგრამის ყველა სხვა კურსს მინიჭებული აქვს 6 ECTS კრედიტი, სასწავლო აქტივობების, მოსალოდნელი სწავლის შედეგების და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული დროის განსხვავების მიუხედავად.

კრედიტების განაწილების გადახედვა ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმის მოქნილობას. ამჟამად სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ მხოლოდ ორი არჩევითი კურსი, ვინაიდან არჩევითი კურსებისთვის განსაზღვრული 12 კრედიტის საერთო რაოდენობის ფარგლებში კურსების უმეტესობას მინიჭებული აქვს 6 ECTS კრედიტი. კრედიტების გადანაწილება ან არჩევითი კურსების კრედიტების განაწილების დივერსიფიცირება საშუალებას მისცემს სტუდენტებს აირჩიონ საგნების ფართო სპექტრი და გაიღრმავონ ცოდნა ლინგვისტიკის, ლიტერატურის ან გამოყენებითი ენის შესწავლის სპეციფიკურ სფეროებში. აღნიშნული კორექტირება გაზრდის სტუდენტების ავტონომიას თავად განსაზღვრონ ინდივიდუალური აკადემიური გზები და ხელს შეუწყობს კვლევით ინტერესებში ინტენსიურ ჩართულობას.

შეფასების პროცესში ასევე გამოვლინდა, რომ პროგრამის შემუშავება და გადახედვა ხორციელდება თანამშრომლობითი პროცესის ფარგლებში, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის აკადემიურ პერსონალის, მოწვეული მეცნიერების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით. აღნიშნული დადასტურდა ვიზიტის დროს, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთა მჭიდრო თანამშრომლობა პროგრამის პერსონალს და დაინტერესებულ მხარეებს შორის. დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის და როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ გარემოში აქტუალობის უწყვეტ გაუმჯობესებას. მაგალითად, ინტერვიუების ფარგლებში პოტენციური დამსაქმებლების მიერ გამოთქმული რჩევები მიღებული და განხილული იქნა პროგრამის პერსონალის მიერ პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების ფარგლებში.

ინფორმაცია პროგრამის სტრუქტურის, კურსების და სწავლის შედეგების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და პროგრამის ოფიციალურ დოკუმენტაციაში, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას.

საერთო ჯამში, პროგრამას გააჩნია თანმიმდევრული და ლოგიკურად სტრუქტურირებული სასწავლო გეგმა, რომელიც შეესაბამება დაწესებულების წესდებას, ეროვნულ კანონმდებლობას და საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებს. კრედიტების განაწილების, სასწავლო მოქნილობის და კვლევითი პოტენციალის გაუმჯობესებით პროგრამას შეუძლია კიდევ უფრო გააძლიეროს სტუდენტების მრავალფეროვანი ინტერესების მხარდაჭერა და ხელი შეუწყოს მოწინავე სამეცნიერო განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა;
- კურსების სილაბუსი;
- სწავლის შედეგების რუქა;
- საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ";
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი;
- ადგილზე ვიზიტის შედეგები.

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმაში გადაიხედოს კრედიტების განაწილება, განსაკუთრებით არჩევითი კომპონენტის ფარგლებში, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაძლებლობით აირჩიონ სასწავლო კურსების ფართო სპექტრი თავიანთი კვლევის ინტერესის შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა სილაბუსებში გათვალისწინებულ სავალდებულო საკითხავ მასალაში სახელმძღვანელოებთან ერთად შეიტანოს რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალების სტატიები, საკონფერენციო მასალები და აკადემიური მონოგრაფიები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	აირჩიეთ შესაბამისი მეტწილად შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

➤ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის და სილაბუსების ანალიზი მიუთითებს, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მკაფიოდ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ისეთი ძირითადი სავალდებულო კურსები, როგორებიცაა თანამედროვე ლინგვისტიკა, ინგლისური ენა დროსა და სივრცეში, ტექსტი და კონტექსტი, თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმები და ტენდენციები და ლიტერატურული თეორია, უშუალოდ უწყობს ხელს პროგრამის დონეზე განსაზღვრული ცოდნის და ანალიტიკური უნარების განვითარებას.

აღნიშნული კურსები მხარს უჭერს პროგრამის მიზანს განავითაროს მოწინავე თეორიული ცოდნა ლინგვისტიკაში და ლიტერატურულ კვლევებში, აგრეთვე ენის, ლიტერატურის და სოციოკულტურული კონტექსტების კრიტიკული ანალიზის უნარი. კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა სემესტრების მიხედვით ასახავს კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას, საბაზისო თეორიული ცოდნიდან მოწინავე ანალიტიკური და კვლევაზე ორიენტირებული უნარებისაკენ პროგრესიას.

ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება მოსალოდნელ სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება სილაბუსებში აღწერილი თემატური განაწილებით და სასწავლო აქტივობებით. კურსებში თეორიული სწავლება გაერთიანებულია ანალიტიკურ დავალებებთან, კვლევით აქტივობებთან და აკადემიური წერის დავალებებთან, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ და გააერთიანონ ფილოლოგიური ცოდნა. მაგალითად, ლინგვისტიკაზე და ლიტერატურულ თეორიაზე ორიენტირებულ კურსებში ისწავლება კონცეპტუალური ჩარჩოები,

რომლებიც აუცილებელია კრიტიკული ინტერპრეტაციისათვის, ინტერდისციპლინური ანალიზისათვის და დამოუკიდებელი კვლევისათვის, რაც ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებში.

რაც შეეხება ცალკეულ კურსებში კრედიტების განაწილებას, როგორც ზემოთ აღნიშნა (დეტალებისათვის იხილეთ 1.4 კომპონენტი), პროგრამაში გამოყენებულია ECTS კრედიტების განაწილების ერთგვაროვანი სისტემა, რამაც შეიძლება შეზღუდოს შესაბამისობა ECTS კრედიტის ღირებულებას, სტუდენტების რეალურ სამუშაო დატვირთვასა და სხვადასხვა კურსის აკადემიურ მოთხოვნებს შორის. მაგალითად, სასწავლო კურსს "კვლევის მეთოდები ლინგვისტიკაში" მინიჭებული აქვს მხოლოდ 3 ECTS კრედიტი, მიუხედავად იმისა, რომ ის სტუდენტებისგან მოითხოვს კვლევის არსებითი უნარების განვითარებას და მცირე კვლევითი პროექტის შესრულებას. ჩვეულებრივ, ასეთი დავალებები მოითხოვს მნიშვნელოვან დროს ლიტერატურის მიმოხილვისათვის, მონაცემთა შეგროვებისათვის, ანალიზისათვის და აკადემიური წერისათვის, რაც სავარაუდოდ აღემატება დამოუკიდებელი მუშაობისათვის ამჟამად განსაზღვრულ 28 საათს. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის სტუდენტების მეთოდოლოგიური მომზადების ცენტრალური როლის გათვალისწინებით, კრედიტების არსებული განაწილება შეიძლება სათანადოდ არ ასახავდეს აღნიშნული კურსის სამუშაო დატვირთვას და აკადემიურ მნიშვნელობას.

ამავდროულად, სავალდებულო და არჩევითი კურსების უმეტესობას მინიჭებული აქვს 6 ECTS კრედიტი მეთოდოლოგიური და სპეციფიკური განსხვავებების მიუხედავად. მაგალითად, კურსი "ბიზნეს კომუნიკაცია" დამოუკიდებელი მუშაობისათვის ითვალისწინებს დაახლოებით 96 საათს, მიუხედავად იმისა, რომ მისი სწავლის შედეგები სავალდებულოდ არ ითხოვს კვლევაზე დაფუძნებული ჩართულობის იმავე ხარისხს, როგორც ეს დადგენილია მეთოდოლოგიური კურსებისათვის. აღნიშნული შეუსაბამობა მიუთითებს, რომ კრედიტების არსებული განაწილება თანმიმდევრულად არ შეესაბამება სხვადასხვა კურსის სირთულეს და აკადემიურ მოთხოვნებს.

შესაბამისად, რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში გადაიხედოს ცალკეული კურსების კრედიტების განაწილება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს უფრო ზუსტი შესაბამისობა კურსის სამუშაო დატვირთვას, სწავლის შედეგებს და მინიჭებულ ECTS კრედიტების რაოდენობას შორის, განსაკუთრებით სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით. მაგალითად, კვლევაზე ორიენტირებულ კურსებში, როგორცაა კვლევის მეთოდები ლინგვისტიკაში, კრედიტის რაოდენობის გაზრდა გააძლიერებს სტუდენტების დამოუკიდებელი კვლევისთვის მომზადებას და სათანადოდ ასახავს სამაგისტრო დონის აკადემიურ მოთხოვნებს. ამავდროულად, სხვა კურსების მიზნების, სტუდენტთა მოსალოდნელი სამუშაო დატვირთვის, გამოყენებული მეთოდოლოგიის და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი დროის გადახედვა კიდევ უფრო დაუჭერს მხარს ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის საერთო დონეს და ძირითად მიზნებს. შესაბამისი რეკომენდაცია დეტალურად არის წარმოდგენილი 1.4 კომპონენტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა;
- კურსების სილაბუსი;
- სწავლის შედეგების რუქა;
- საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ";
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი;
- ადგილზე ვიზიტის შედეგები.

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, პროგრამაში გადაიხედოს კრედიტების განაწილება, როგორც ეს ხაზგასმულია 1.4 კომპონენტში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	აირჩიეთ შესაბამისი მეტწილად შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ - ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას შემდეგი:

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამაზე ისეთი კანდიდატების მიღებას, რომლებსაც გააჩნიათ პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის და სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო შესაბამისი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. დაშვების პროცედურები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, გამჭვირვალეა, სამართლიანია და საჯაროდ ხელმისაწვდომია პროგრამის დოკუმენტაციის, უნივერსიტეტის ვებგვერდის და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

საქართველოს მოქალაქეებისათვის განსაზღვრულია შემდეგი დაშვების კრიტერიუმები: სამაგისტრო პროგრამაზე აპლიკანტები ჩაირიცხებიან ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224 / ნ ბრძანების (2011 წლის 29 დეკემბერი) შესაბამისად, კანდიდატების მიღება შეიძლება განხორციელდეს ალტერნატიული პროცედურებით, რომლებიც მოიცავს:

- წერით გამოცდას ინგლისურ ენაში,
- გასაუბრებას სპეციალობაში,
- ადმინისტრაციულ რეგისტრაციას და
- ჩარიცხვის დასადასტურებლად უნივერსიტეტის პრეზიდენტის საბოლოო ბრძანებას.

აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს, რომ კანდიდატები აჩვენებენ საჭირო აკადემიურ მომზადებას და დარგთან დაკავშირებულ კომპეტენციას.

დაშვების კრიტერიუმები საერთაშორისო აპლიკანტებისათვის: უცხოელი აპლიკანტები, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს საზღვარგარეთ და მიენიჭათ ექვივალენტური კვალიფიკაცია, ბოლო ორი წელი სწავლობდნენ საზღვარგარეთ, ან ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ საზღვარგარეთ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სულ მცირე ორი წლის განმავლობაში, პროგრამაზე დაიშვებიან ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე. მათი მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224 / ნ ბრძანების (2011 წლის 29 დეკემბერი) და დაწესებულებაში დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

ვინაიდან პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე, აპლიკანტებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა სულ მცირე B2 (ზედა - საშუალო) დონეზე ენების შეფასების საერთო ევროპული სტანდარტის (CEFR) შესაბამისად. აღნიშნული მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები შეძლებენ მონაწილეობის მიღებას აკადემიურ დისკუსიებში, აკადემიური ტექსტების გააზრებას და პროგრამით გათვალისწინებული წერიითი დავალებების შესრულებას.

ინგლისური ენის კომპეტენცია შეიძლება დადასტურდეს შემდეგიდან ერთ-ერთით:

1. უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებით - კანდიდატებს შეუძლიათ ჩააბარონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის ტესტი, რომლის მინიმალური ბარიერია 70%;
2. საერთაშორისოდ აღიარებული ინგლისური ენის სერტიფიკატების წარდგენით, მათ შორის:
 - TOEFL iBT — მინიმალური ქულა 80,
 - IELTS Academic — მინიმალური ქულა 6,
 - PTE General — მინიმალური დონე B2,
 - FCE (First Certificate in English) — მინიმალური შეფასება B.

B2 დონის მინიმალური ცოდნა შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ მოთხოვნებს და მრავალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გამოყენებულ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტს. გარდა ამისა, რამდენიმე საერთაშორისოდ აღიარებული გამოცდის გამოყენება აპლიკანტებისთვის უზრუნველყოფს მოქნილობას ენის ცოდნის თანმიმდევრული სტანდარტების შენარჩუნებით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში განსაზღვრულია მინიმალური ქულები TOEFL - ისათვის, IELTS - ისათვის, PTE - სა და FCE-სათვის, რომლებიც ძირითადად შეესაბამება CEFR-ის B2 დონეს, სხვადასხვა ტესტირების სისტემებს შორის შედარებადობის უზრუნველყოფით. თუმცა, შესაძლებელია გადახედვას საჭიროებდეს FCE - ის B შეფასების მინიმალურ დონედ მოთხოვნა. CEFR - ის B2 დონესთან გათანაბრებული საერთაშორისოდ აღიარებული ეკვივალენტური სკალების თანახმად, FCE - ის C შეფასება ზოგადად მიჩნეულია B2 დონის მაჩვენებლად, ხოლო შეფასებები A და B მიუთითებს B2 - ის უმაღლეს დონეს ან C1 - თან მიახლოებულ დონეს. აღნიშნულ კონტექსტში, არსებული მოთხოვნა გარკვეულწილად არ შეესაბამება დაშვებულ სხვა ენობრივ სტანდარტებს. მაგალითად, TOEFL iBT (მინიმალური ქულა 80) და IELTS (6 ქულა) ფართოდ არის აღიარებული B2 დონის ცოდნის სტანდარტულ მაჩვენებლებად, რაც შეესაბამება FCE - ის C შეფასებას.

შესაბამისად, აღნიშნული ეკვივალენტობის გათვალისწინებით, FCE - ის C შეფასების ნაცვლად B შეფასების მოთხოვნის დასაბუთება გარკვეულწილად გაუგებარია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ან FCE - ის მოთხოვნის გათანაბრება B2 დონესთან (C შეფასება) TOEFL-ის და IELTS-ის ბარიერებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ან ემპირიული ან დაწესებულების მტკიცებულების (მაგალითად, სტატისტიკური მონაცემები, მიღების წინა შედეგები ან შიდა ინგლისური ენის გამოცდის შეფასების შედეგები) წარდგენა, რომელიც ადასტურებს, რომ FCE - C შეფასების მქონე კანდიდატები სათანადოდ ვერ

აკმაყოფილებენ პროგრამის მოთხოვნებს უცხო ენასთან მიმართებით. ამ საკითხის დაზუსტება გააძლიერებს დაშვების წინაპირობების თანმიმდევრულობას და გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს ინგლისური ენის მოთხოვნების შესაბამისობას სხვადასხვა საერთაშორისო სასერტიფიკატო სისტემებთან.

პროგრამაზე მიღება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული მიღების კომისიის ჩამოყალიბების და საქმიანობის დებულების შესაბამისად. უნივერსიტეტი ასევე იყენებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის შესაძლებლობებს, აკადემიურ რესურსებს და დაწესებულების ინფრასტრუქტურას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურ მართვას და სწავლების ხარისხის შენარჩუნებას. დაშვების წინაპირობები, პროცედურა და შეფასების კრიტერიუმი საჯაროდ ხელმისაწვდომია და გაზიარებულია, რაც აპლიკანტებისთვის უზრუნველყოფს სამართლიანობას, თანაბარ წვდომას და გამჭვირვალობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა;
- საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ";
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი (www.ug.edu.ge);
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ - გვერდი (www.eqe.ge);
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სტანდარტები;
- ადგილზე ვიზიტის შედეგები;
- Cambridge English - ის მთავარი გვერდი: <https://www.cambridgeenglish.org/exams-and-tests/qualifications/first/format/>

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, დაშვების წინაპირობებში გადაიხედოს FCE - ის მოთხოვნები, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანმიმდევრულობა ყველა საერთაშორისოდ აღიარებულ ენის ცოდნის ზღვრულ დონეებს შორის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	აირჩიეთ შესაბამისი მეტწილად შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს მნიშვნელოვან კვლევით კომპონენტს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას სწავლის შედეგების და სამაგისტრო საფეხურის შესაბამისად. პროგრამა მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას (30 ECTS კრედიტი), რომელიც წარმოადგენს სტუდენტების დამოუკიდებელი კვლევის ცენტრალურ კომპონენტს. აღნიშნული პროცესის მეშვეობით სტუდენტები იყენებენ თეორიულ ცოდნას და კვლევის მეთოდოლოგიებს ლინგვისტიკის, ლიტერატურის და მომიჯნავე ინტერდისციპლინურ სფეროებში, რითიც ივითარებენ ანალიტიკურ, მეთოდოლოგიურ და აკადემიური წერის უნარებს.

კვლევითი კომპონენტი ორგანიზებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, როგორცაა კვლევის წარმართვასთან, თეორიული მიდგომების კრიტიკულ ანალიზთან, სამეცნიერო ხედვების სინთეზთან და სტრუქტურირებული აკადემიური არგუმენტების წარდგენასთან დაკავშირებული სწავლის შედეგები. ისეთი კურსები, როგორებიცაა აკადემიური წერა და კვლევა და კვლევის მეთოდები ლინგვისტიკაში, იძლევა მეთოდოლოგიურ საფუძველს, რომელიც აუცილებელია ნაშრომის წარმატებულად დასრულებისათვის და სამაგისტრო საფეხურზე მოწინავე კვლევითი კომპეტენციების განვითარებისათვის. უნივერსიტეტში დამტკიცებული მაგისტრატურის დებულების თანახმად, სამაგისტრო ნაშრომი გადის შემდეგ ეტაპებს: კონცეფციის დაცვა, წინასწარი განაცხადი და საბოლოო წარდგენა დაცვის კომისიის

წინაშე. დებულება ასევე სტუდენტებისთვის ადგენს მონაცემთა დოკუმენტირების მოთხოვნებს (APA სტილი) და განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას უნივერსიტეტის მიერ შეძენილი Turnitin პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

კვლევითი კომპეტენციების გარდა, პროგრამა ხელს უწყობს პრაქტიკული პროფესიული უნარების განვითარებას. აღნიშნული მოიცავს აკადემიურ წერას, ლიტერატურის მიმოხილვას, მონაცემთა ანალიზს, ლინგვისტური და ლიტერატურული ტექსტების კრიტიკულ ინტერპრეტაციას, პროექტის დაგეგმვას და ეფექტურ აკადემიურ კომუნიკაციას. სწავლების მეთოდები, როგორებიცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაციები, ჯგუფური მუშაობა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და აკადემიური და პროფესიული გარემოსათვის შესაბამისი ტრანსფერული უნარების განვითარებას.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში თითოეულ სტუდენტს ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგის კვალიფიციური აკადემიური პერსონალის წევრი. ხელმძღვანელი სტუდენტს მეთვალყურეობს კვლევის მთელი პროცესის განმავლობაში, დახმარებას უწევს კვლევის კითხვების ჩამოყალიბებაში, ლიტერატურის მიმოხილვაში, კვლევის მეთოდების შერჩევაში, დასკვნების ანალიზში და მომზადებაში. სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ ხელმძღვანელის შეფასების ფორმა ადასტურებს, რომ ხელმძღვანელობის პროცესი სისტემატურად კონტროლდება სტუდენტების უკუკავშირის მეშვეობით, რომელიც ეხება შეხვედრების სიხშირეს, უშუალოდ ხელმძღვანელობას, უკუკავშირის ხარისხს და დროულობას და ზოგადად ხელმძღვანელით საერთო კმაყოფილებას. აღნიშნული მექანიზმი მხარს უჭერს ხარისხის უზრუნველყოფას და უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები იღებენ სათანადო აკადემიურ ხელმძღვანელობას კვლევითი საქმიანობის განმავლობაში.

პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებასთან ერთად, ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს აკადემიურ და პროფესიულ პროექტებში ჩართულობის შესაძლებლობებს. სტუდენტების მონაწილეობა მხარდაჭერილია პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით, რომლებიც ხელს უწყობენ პრაქტიკულ გამოცდილებას, პროფესიულ განვითარებას და კვლევით და ორგანიზაციულ აქტივობებში ჩართულობას. გარდა ამისა, ევროპული ენების და ფილოლოგიის დეპარტამენტი ინტერდისციპლინური და ინტერლინგვისტური კვლევების ცენტრის მეშვეობით

ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას კვლევით ინიციატივებში და აკადემიურ ღონისძიებებში. ცენტრი აწყობს საერთაშორისო კონფერენციას „ენა, კულტურა და ლიტერატურა“, რომელშიც რეგულარულად მონაწილეობენ სტუდენტები, რითაც აძლიერებენ თავიანთ კვლევის და პრეზენტაციის უნარებს. სტუდენტების ჩართულობას ასევე მხარს უჭერს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელიც მათ აწვდის ინფორმაციას სამეცნიერო პროექტების, მობილობის შესაძლებლობების და გაცვლითი პროგრამების შესახებ. მაგალითად, 2025 წლის შემოდგომის სემესტრში პროგრამის ერთმა სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო გაცვლით პროგრამაში სლოვაკეთის შაფარიკის უნივერსიტეტში.

სტუდენტები ასევე წახალისებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ და საერთაშორისო აკადემიურ კონფერენციებში ხელოვნების და ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის და ევროპული ენების და ფილოლოგიის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის სტუდენტებმა საერთაშორისო კონფერენციებზე წარადგინეს კვლევები, რაც ადასტურებს სამეცნიერო საქმიანობაში მათ აქტიურ ჩართულობას. დამატებითი მხარდაჭერი მექანიზმები მოიცავს SADAB კომიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობებს, სადაც შერჩეული სტუდენტები წარდგენილი მასალის ხარისხის მიხედვით უფასოდ დაესწრებიან კონფერენციას. პროგრამა კიდევ უფრო აძლიერებს სტუდენტების აკადემიურ და კვლევით კომპეტენციებს ERASMUS+ - ის ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის და მოწვეული მეცნიერების მეშვეობით. უცხოელი პროფესორები რეგულარულად კითხულობენ ლექციებს, ატარებენ სემინარებს და ტრენინგებს კვლევის მეთოდების, ლინგვისტური ანალიზის, საგანმანათლებლო გამოწვევების და ინოვაციური სასწავლო მიდგომების შესახებ.

ამავდროულად, პროგრამის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო მობილობებში და სასწავლო გაცვლაში, რაც ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას და სტუდენტების აკადემიური გარემოს გაუმჯობესებას. ინსტიტუციური მხარდაჭერა უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები მუდმივად იღებენ ინფორმაციას შესაბამისი კონფერენციების, ტრენინგების, სემინარებისა და კვლევითი პროექტების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი (www.ug.edu.ge); განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი (www.eqe.ge);
- მაგისტრატურის დებულება;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სილაბუსების მიმოხილვა და ინტერვიუს შედეგები მიუთითებს, რომ აკადემიურ დისციპლინებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების

დონეს, კურსის შინაარსს, მოსალოდნელ სწავლის შედეგებსა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსების/სასწავლო გეგმის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამის ფარგლებში გამოიყენება შემდეგი სწავლის მეთოდები: შემთხვევის კვლევა და ანალიზი, ტექსტზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსია/დებატები, დემონსტრაციული მეთოდი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული სამუშაო, მცირე მასშტაბის კვლევის ჩატარება, ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი, ვიზუალური ლექციები, წერიტი სამუშაოს მეთოდი, ლექცია-სემინარები, ინტერაქტიული სესიები, პრობლემის გადაჭრის სავარჯიშოები, პრეზენტაციები, შესაბამისი მასალების ძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში, ზეპირი/ვერბალური მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, კრიტიკული ანალიზი, განმარტებითი მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ შერჩეული სწავლებისა და სწავლის მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში, ახალისებს რა ურთიერთქმედებას როგორც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, ასევე, თავად სტუდენტებს შორის. ეს მეთოდები ხელს უწყობს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაბამისი ავტონომია და პასუხისმგებლობა და მიზნად ისახავს მრავალფეროვანი უნარების, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

რადგანაც პროგრამა განკუთვნილია როგორც ქართველი, ასევე სხვა აპლიკანტებისთვისაც, აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ მზად არიან, გაითვალისწინონ სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები და გამოიყენონ სწავლების მოქნილი მიდგომები.

უნივერსიტეტს ასევე გააჩნია შესანიშნავი მატერიალური რესურსები და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ელექტრონული ან დისტანციური სწავლების ორგანიზება, შესაბამისი სწავლების მეთოდების გამოყენებით. ეს მიდგომა არ ცვლის პროგრამის მიზნებს ან დაგეგმილ სასწავლო შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები

- სასწავლო პროგრამები
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი
- ინტერვიუს შედეგები
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	აირჩიეთ შესაბამისი შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიშში, ასევე, ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სტუდენტების შეფასების პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოს, მათ შორის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას (05.01.2007) "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის კრედიტების დათვლის/ გაანგარიშების წესების დამტკიცების შესახებ", ასევე,

საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ შინაგანაწესს. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები მათთვის წინასწარ არის ცნობილი, რაც უზრუნველყოფს მეტ სანდოობასა და სტუდენტთა თანასწორობას.

თითოეული კურსის შეფასების მეთოდები, როგორც წესი, მორგებულია მის სპეციფიკურობაზე და შეესაბამება სასწავლო შედეგებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტთა პროგრესის ეფექტური შეფასება. როგორც სექტორული ნიშნულის კრიტერიუმების 4.2. ნაწილშია აღნიშნული, უცხო ენის/ენების შემსწავლელი საგანმანათლებლო პროგრამები, მათი მულტიდისციპლინურობის გამო, სწავლების პროცესში შეფასების მრავალფეროვან ფორმებს იყენებენ. შეფასების ფორმები (შუალედური და საბოლოო შეფასება), რომლებიც გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამის თითოეული აკადემიური კურსისთვის / სასწავლო გეგმისთვის, მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. ეს მეთოდები — მათ შორის ყოველკვირეული ტესტები, შუალედური და საბოლოო გამოცდები, ესეები, პრეზენტაციები და დავალებები — შესაძლებელს ხდის განხორციელდეს სტუდენტების ცოდნისა და უნარების განვითარების უწყვეტი და ყოვლისმომცველი მონიტორინგი.

უნდა დაზუსტდეს ზოგიერთი კურსის სილაბუსი/სასწავლო პროგრამა, როგორცაა - პროექტის მენეჯმენტი. რეკომენდებულია, კურსის "პროექტის მენეჯმენტი/მართვა" შეფასების სისტემა კიდევ უფრო დაზუსტდეს და განვითარდეს, რათა მეტად გამჭვირვალე და გასაგები გახდეს სტუდენტებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსი კვლევითი სემესტრული ნაშრომისა და პრეზენტაციის შეფასებისთვის აუცილებელ ხარისხობრივ აღწერილობას მოიცავს, დოკუმენტში მკაფიოდ არ არის გაწერილი შეფასების ზოგადი სტრუქტურა. სასურველია, შეფასების კრიტერიუმების წარმოდგენა მკაფიოდ სტრუქტურირებული რუბრიკის ფორმატში, სადაც ერთმანეთისგან გამიჯნული იქნება ისეთი ძირითადი განზომილებები, როგორცაა სტრუქტურა და ორგანიზება, არგუმენტაცია, ლიტერატურის გამოყენება, აკადემიური წერის სტანდარტები (APA) და პრეზენტაციის /წარმოდგენის სიცხადე. ეს გააუმჯობესებდა გამჭვირვალობას და სტუდენტებს საშუალებას მისცემდა, უკეთ დაენახათ თავიანთი მოლოდინები და შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც მათი ნამუშევარი ფასდება.

სილაბუსში "ბიზნეს კომუნიკაცია", შეფასების სისტემა მეტ-ნაკლებად ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუმცა მაინც აკლია რამდენიმე ელემენტი, რომელიც სტუდენტების სრული გამჭვირვალობისთვის აუცილებელია. სილაბუსში ნათლად არ არის მითითებული, თუ როგორ უკავშირდება შეფასების თითოეული კომპონენტი საბოლოო შეფასებას. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმების ხარისხობრივი აღწერები, შეფასების კრიტერიუმები არ არის წარმოდგენილი სტრუქტურირებული რუბრიკის ფორმით, ცალკეული, გაზომვადი კატეგორიებით. შეფასების კრიტერიუმების წარმოდგენა სტრუქტურირებული რუბრიკის ფორმატით, მკაფიოდ ფორმულირებული კატეგორიებით, გააუმჯობესებდა შეფასების კრიტერიუმების თანმიმდევრულობას და დაეხმარებოდა სტუდენტებს უკეთ გაიაზრონ თავიანთი მოლოდინები.

ზემოხსენებული კომპონენტების დაზუსტება გააძლიერებდა სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, გააუმჯობესებდა შეფასების სამართლიანობასა და თანმიმდევრულობას და ასევე, უზრუნველყოფდა კურსის შესაბამისობას განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტებთან.

პროგრამის ფარგლებში არსებობს სისტემა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის რეგულარული, კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებას მათი ძლიერი მხარეებისა და ასევე, გასაუმჯობესებელი მიმართულებების შესახებ. სტუდენტებს შეუძლიათ გაასაჩივრონ შეფასების შედეგები გამჭვირვალე, ობიექტური და წინასწარ დადგენილი ინსტიტუციური პროცედურების შესაბამისად, რაც შესაძლებელია მოიცავდეს ალტერნატიული შემფასებლის მიერ ნაშრომის გადახედვას. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება შემდეგი შეფასების სქემა:

შედეგების საშუალო	ქულების არითმეტიკული (GPA)	უნივერსიტეტის შეფასება	საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება
97-100	4.00	A+	A ფრიადი
94-96	3,75	A	
91-93	3,50	A-	

87-90	3.25	B+		ძალიან კარგი
84-86	3,00	B	B	
81-83	2,75	B-		
77-80	2,50	C+	C	კარგი
74-76	2,25	C		
71-73	2.00	C-		
67-70	1.75	D+	D	დამაკმაყოფილებელი
64-66	1.50	D		
61-63	1,25	D-		
51-60	1.00	E	E	საკმარისი
უარყოფითი შეფასება				
41-50		FX	FX	ვერ ჩააბარა
<40		F	F	ჩაიჭრა

საქართველოს უნივერსიტეტის ონლაინ სისტემა უზრუნველყოფს შეფასებისა და გასაჩივრების/სააპელაციო პროცესებს და შესაძლებელს ხდის საიმედო, შინაარსობრივად შესაბამისი შეფასებების ჩატარებას ელექტრონული სწავლების ან დისტანციურ ფორმატებში. უნივერსიტეტს აქვს სრულად აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი, რაც უზრუნველყოს გამოცდების სამართლიანობას, უსაფრთხოებას და თანმიმდევრულობას.

სამაგისტრო პროგრამის დებულების თანახმად, სამაგისტრო ნაშრომი ან პროექტი არის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი, რაც სრულდება წერილობითი ნაშრომით და მისი დაცვით, რომელიც მოიცავს პრეზენტაციას და დისკუსიას. კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტების დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარება, მათ შორის, არგუმენტების, დასკვნებისა და კვლევის შედეგების ფორმულირებისა და წარდგენის უნარის განვითარება, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების შესაბამისად. ეს რეგულაცია ვრცელდება უსდ-ს ყველა სამაგისტრო ნაშრომზე, თუ კონკრეტული პროგრამა ან სკოლა განსხვავებულად არ

განსაზღვრავს. თეზისი/ნაშრომი უნდა შესრულდეს პროგრამის განხორციელების ენაზე და შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის აკადემიურ მოთხოვნებს, განსაკუთრებით APA სტილს. სადიპლომო ნაშრომის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: აკადემიური რეგისტრაცია, სათაურის წარდგენა, კვლევის კონცეფციის პრეზენტაცია და დაცვა, წინასწარი განაცხადის წარდგენა და დაცვა, და საბოლოო პრეზენტაცია და დაცვა. რეგისტრაციის ბოლო ვადის გამოტოვება იწვევს მიმდინარე სემესტრში თეზისის დასრულების უფლების დაკარგვას. რეგისტრაციის შემდეგ, სკოლის საბჭო ნიშნავს დაცვის საბჭოს, რომელიც შედგება თავმჯდომარისგან, ექსპერტისგან, სადისერტაციო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელისა და, შესაძლოა, თანახელმძღვანელისგან, რომელთაგან ყველა ფლობს დოქტორის ან ექვივალენტურ ხარისხს და შესაბამისი სფეროს ექსპერტულ ცოდნას. თანახელმძღვანელი ასევე შეიძლება იყოს დოქტორანტი ან კვალიფიციური ექსპერტი. სტუდენტებს შეუძლიათ, დასაბუთებული წერილობითი განცხადების წარდგენით, მოითხოვონ დაცვის საბჭოს ნებისმიერი წევრის ჩამოშორება/აცილება, ხოლო საბჭოს წევრებს შეუძლიათ მოითხოვონ საკუთარი თავის თვითაცილება; ორივე შემთხვევაში, სასკოლო საბჭო უზრუნველყოფს მათ ჩანაცვლებას.

უნივერსიტეტში მუდმივად გამოიყენება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის მექანიზმები შეფასების მთელი პროცესის განმავლობაში, მათ შორის პლაგიატის პრევენცია, გამოვლენა და რეაგირება. Turnitin-ი გამოიყენება აკადემიური კეთილსინდისიერების დასაცავად. პროგრამის დირექტორები რეგულარულად აკონტროლებენ შეფასებების განხორციელებას, სანდოობას და სისწორეს სათანადო ნიშნების, სწავლის შედეგების ანალიზისა და სტუდენტებისა და პერსონალის უკუკავშირის გამოყენებით. შეფასების შედეგები განიხილება და გამოიყენება სწავლების მეთოდების გასაუმჯობესებლად, შეფასების სტრატეგიების დასახვეწად და საერთო საგანმანათლებლო ხარისხის ასამაღლებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები
- სასწავლო პროგრამები
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება (05.01.2007) "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის კრედიტების დათვლის/ გაანგარიშების წესების დამტკიცების შესახებ"
- სამაგისტრო პროგრამის წესდება
- დარგობრივი მახასიათებლები

- ინტერვიუს შედეგები
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, გარკვეული კურსების შეფასების კომპონენტებისა და რუბრიკების გადახედვა: შეფასების კრიტერიუმების წარმოდგენა სტრუქტურირებული რუბრიკის ფორმატით, მკაფიოდ გამოყოფილი კატეგორიებით, გააუმჯობესებდა შეფასების თანმიმდევრულობას და დაეხმარებოდა სტუდენტებს უკეთ გაეაზრებინათ თავიანთი მოლოდინები.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4. სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი მეტწილად შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

